საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/214-2007 „25“ სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) III ნაწილის („რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა“):

ა.ა) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. **გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა**

აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. მოსამართლის თანაშემწე	1
2. სხდომის მდივანი	1
3. სპეციალისტი	1
4. მანდატური	3
5. კურიერი	1
6. თარჯიმანი	1
7. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1

სულ 9.“;

ა.ბ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. მოსამართლის თანაშემწე	1
2 სხდომის მდივანი	1
3. სპეციალისტი	1
4. მანდატური	3
5. კურიერი	1
6. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1

სულ 8.“;

ა.გ) 35-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„35. ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. მოსამართლის თანაშემწე	1
2. სხდომის მდივანი	1
3. სპეციალისტი	1
4. მანდატური	3
5. კურიერი	1
6. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1

სულ 8.“;

ა.დ) 42-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„42. სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. მოსამართლის თანაშემწე	2
2. სხდომის მდივანი	2
3. სპეციალისტი	1
4. მანდატური	3
5. კურიერი	1
6. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1

სულ 10.“;

ბ) ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების საშტატო ნუსხა განისაზღვროს 1690 საშტატო ერთეულით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2007 წლის 29 ოქტომბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი